№ 221 ოქტომბერი 17, ოთხშაბათი 1890 ოქტომბერი 17, ოთხშაბათი № 221

გაზეთი ღირს

| თუე | მან. | კ. | თუე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აჯზალის ქუჩა, თ. გარანოვის ძმების პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში ქარვასლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი—რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 19 ოქტომბერს.

## გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ქართულ წიგნების გამომცემ ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნაკი:

**ქუთაისის ბანკის საქმე.**

წერილები

ილია ჭავჭავაძისა.

გამოცემა ქუთათელისა.

ფასი ერთი შაური.

(5—2)

სურათებიანი

**„ვეფხის-ტყაოსანი“**

ძვირფასს ყდაში,

გამოცემული

**გ. დ. ქართველიშვილის მიერ**

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილა პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102

**დ. ი. კეზელი**

აწარმოებს სისხლის სამართლის და გამიჯვნის საქმეებს (Уголовныя и межевыя дѣла.) ვერა, აგურის ქუჩა, განჯუმოვის სახლი. (20—13)

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, ამ თვის 15, საღამოს 6 საათზე წყაროს უბანში შემდეგი ამბავი მოხდა: სხვათა შორის ამ უბანში სცხოვრებს ვიღაცა ჩ—ნასი, და ჰყავს გასათხოვარი ქალი. ჩ—ნასას ამ დღეებში გამოუცვლია სადგომი და ვერიდგან წყაროს უბანში გადასულა საცხოვრებლად. მის ნაცნობს მ—ვს უპოვნია მისი ახალი სახლი და გუშინ საღამოზე მთვრალი მისულა ჩ—ნისას. დაუწყია ჩხუბი, ჩემს ნება-დაურთველად რად გადახვედით სხვა სახლშიო. ჩხუბს შემდეგ ამოუღია ჯიბიდგან რევოლვერი და უსროლნია ჩ—ნის ქალის ანნასთვის. საბრალო ქალს ტყვია მარჯვენა ლოყაში მოხვედრია, ჩაუმტვრევია კბილები და ყბის ძვლები და გაუვარდნილა მარცხენა საფეთქელს ცოტა ქვემოდ. ანნა ჩ—ნას ყვირილზე, მაშინვე მეზობლები შეცვივნულან მ—ვს ხელიდგან რევოლვერი გამოუტაცნიათ და მ—ვს ველარა მოუსწერია მეორეც სროლა და მოკვლა საბრალო ანნას დედისა. ანნა ჩ—ნასი მაშინვე ქალაქის სამკურნალოში გაჰგზავნეს, მაგრამ ექიმებს იმის მორჩენის იმედი არა აქვთ. მ—ვი-კი პოლიციამ შეიპყრო და ამის საქმის გამოგამოძიება დანიშნული.

*** ტფილისში ამბობენ, რომ ეჩმიაძინის სომხთა სინოდს დაუნიშნავს კანდიდატად სტამბოლის სომხთა პატრიარქის აშიკიანის ალაგას სმირნის სომხთა მთავარ-ეპისკოპოზი იზმირიანიო.

*** ამ დღეებში ტფილისში მოელიან ჟანდარმების უმთავრესის მმართველობის უფროსს გენერალ პეტროვს, რომელიც პეტერბურგიდგან მოდის აქაურ ჟანდარმების მმართველობის სარევიზიოდ და სხვა ამ გვარის საქმეებისათვის.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა [illegible] იწერება, რომ ქალაქში ბევრნი დადიან ქუჩა-ქუჩა და მოწყალებას თხოულობენ, გადმოსახლებულები ვართ რუსეთიდამ და შეგვეწიეთო. ნამდვილად კი ისინი ხშირად მატყუარები არიან და ამ გვარად შეგროვილს ფულს სამიკიტნოებში ჰფლანგავენ. ამიტომ ევუბრძანებ ბოქაულთ, შემატყობინონ ხოლმე ყოველთვის, როცა ქალაქში გადმოსახლებულები გაჩნდნენ, სად ჩამოხდნენ, რამდენნი არიან, საით მიემგზავრებიან დასასახლებლად, უჭირთ ცხოვრება გზაში, თუ არა, და სხვა ამისთანა ცნობანიო.

*** თელავიდამ შემდეგი სამძიმრის დეპეშა მოგვივიდა: „თელავის საზოგადოება გულითა და სულით ჰგლოვობს და მწუხარებას უცხადებს მეუღლეს თ. დავით გიორგის ძისას, რომლის დაკარგვითაც ჩვენმა სამშობლომ დაჰკარგა უკეთესი ძე თვისიო.

*** 4 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატის მეორე დეპარტამენტში დანიშნულია კიდევ ხელახლად გასარჩევად საქმე ა. ს. ყორღანოვისა. ეს საქმე დიდი ხანია სწარმოებს სასამართლოში და დღემდე კიდევ არა ეშველა-რა და ბოლო არ მოეღო.

*** გუშინ ტფილისის საგუბერნიო ხაზინაში ნაშუადღევს პირველს საათზე მივიდა ვიღაცა კაცი და წარუდგინა ფულის მისაღები ტალონი ანდრია შირაევის სახელზე 51,041 მ. და 20 კ. ვითომდა ტფილისის საინტენდანტო მმართველობიდგან აღებული. ხაზინადარმა დახედა თუ არა ქაღალდს, ეჭვი აიღო, სიყალბე ხომ არა არის-რაო, და მაშინვე შეატყობინა ტფილისის ინტენდანტს. ინტენდანტმა არ იცოდა, თუ ვისთვისმე ამოდენა ფული უნდა მიეცათ და თავის მხრით შეატყობინა პოლიცის ბოქაულს ბეგიჩევს, რომელიც მაშინვე ხაზინაში წავიდა [illegible] ევი. აღმოჩნდა, რომ ეს ვაჟბატონი შირიაევი-კი არა ყოფილა, არამედ სათადარიგო ჯარის კაცი ივანე იზვოილოვი, რომელსაც ტანისამოსის ქვეშ ბალიში და საბანი დაეწყო მუცელზე, რომ შირიაევს დავემსგავსო სისქითაო. ეხლად საქმე გამომძიებელს გარდაეცა. ტალონის ბლანკი ინტენდანტების მმართველობიდგან ვიღაცა მსახურს პოლიაკოვს მოუპარავს და ამ ორ ვაჟბატონს ერთად მოუწადინიათ ფულის მიღება და გაყოფა.

*** ამ თვის 12-ს, ღამის 11 საათზე, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ უჯარის ახლოს ვიღაცა ავაზაკები დაეცნენ საქონლის მატარებელს გასაძარცვად. ავაზაკნი რკინის გზის ლიანდაგს ახლოს ტყეში დამალულიყვნენ და როცა საქონლის მატარებელმა გამოიარა, ავაზაკებმა თოფები ესროლეს მატარებელს, რომ მაშინისტი მოეკლათ, წაეხდინათ ორთქლ-მავალი და შუა გზაზე დაეყენებინათ. ორთქლ-მავალსა და მაშინისტს ვერა დააკლეს-რა ავაზაკებმა. როცა სადგურს უჯარაში მატარებელი გასინჯეს, აღმოჩნდა, რომ ტყვია მოხვედროდა მატარებლის ქვაბსა და თუმცა ცოტა შეედრიკა, მაგრამ ვერ გაეტეხა და ვერ გაეფუჭებინა. ნახევარ საათს შემდეგ სადგურ უჯარიდგან გაგზავნეს სადგურ მიუსუსლიში სხვა საქონლის მატარებელი. როდესაც მატარებელი მიახლოვდა ამ ტყეს, ავაზაკებმა კიდევ რამდენჯერმე ამ მატარებელსაც ესროლეს თოფი. ტყვია ბუფერის ფანარს მოხვდა და ჩაამსხვრია, მაგრამ მატარებელს ვერა დააკლეს-რა და მშვიდობიანად მივიდა სადგურს მიუსუსლიში. ავაზაკები ჯერ არ შეუპყრიათ.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა რამდენიმე ფრანგთა აფიცერი, რომელნიც მის უმაღლესობას პრინც ლიუდოვიგ ნაპოლეონს წარუდგნენ

*** გაზ. „Сѣверный Кавказъ“-ის ბეჭდვა სტავროპოლში შეწყვეტილ იქმნა დროებით, რადგან რედაქციას შეძლება აღარ ჰქონია, რომ ბეჭდვის ხარჯი დაეფარა.

*** რუსეთში სულ 170 ათასის დესეტინის ვენახებია. მოდის სულ 20 მილიონამდე ვედრო ღვინო. აქედამ კავკასიაში 100,000 დესიატინაა და მოდის 11 მილიონი ვედრო.

*** სჩინთ: სხვათა შორის ღირსია ყურადღებისა ჩვენში რამდენიმე სამკურნალო მადნის წყლები, რომ-

## ფელეტონი

### ხვანჭკარა და იმაურის ღვინის წარმოება.

ვის არ გაეგონება „ყიფიანის ღვინის“ სახელი? მგონი ჩვენს ქვეყანაში არ არის იმისთანა კუთხე, საცა ამ ღვინის ქება არ გაეგონოთ და მართლაც ეს ღვინო თითქმის არაფრით არ ჩამოუვარდება კახურს ღვინოს არც სიმაგრით, არც სურნელოვანებითა და არც ფერით. სხვა ადგილების ღვინოს ხომ სჯობია და სჯობია. აი სწორედ ეს ღვინო მოდის ზემო-ხსენებულსა და მის მახლობლად მდებარე სოფლებში.

საზოგადოდ რაჭაში ისეთი სიძვირეა მიწისა, რომ შუათანა ღირსების მიწაში ხშირად 400 და 500 მანეთს აძლევენ ქცევაში*) და ამისთანა გარემოებაში, რასაკვირველია, მემამულემ იმისთანა წარმოებას უნდა მოჰკიდოს ხელი, რომელიც უფრო მეტს შემოსავალს იძლევა. ამ ნაირ წარმოებად სხვათა შორის მევენახეობა უნდა ჩაითვალოს და სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ რაჭაში, საცა-კი შესაძლებელია, ვენახს აკეთებენ; იმისთანა ადგილს ხომ, საცა ყიფიანის ღვინისთანა ღვინო მოდის, მევენახობას პირველი ადგილი უჭირავს. ასეა ხვანჭკარაშიც, საცა თთ. ყიფიანები ცხოვრებენ და საცა განთქმული „ყიფიანის ღვინო“ მოდის. იმას გარდა, რომ თითონ თთ. ყიფიანებს ოც-ოც-და-ათ ქცევაზე მეტი ვენახი აქვთ, ვერ ჰნახავთ აქ იმისთანა გლეხს, რომ ორს ქცევაზე ნაკლები ვენახი ჰქონდეს. მთელს ხვანჭკარის საზოგადოებაში დაახლოვებით 600 ქცევა ვენახი იქნება; თითო ქცევა ვენახის შუათანა მოსავალი რომ 35 ფუთი ჩავაგდოთ და ფუთი ღვინო 4 მანეთად ვიანგარიშოთ, მარტო ამ საზოგადოებას ვენახებიდგან 80,000 მან. უნდა შემოუვიდეს წლიწადში. ეს შემოსავალი იმდენად საყურადღებოა, რომ მეტი არ იქნება აქაურს მევენეობაზე ორიოდე სიტყვა ითქვას.

უმეტეს ნაწილად ხვანჭკარაში ერთ გვარი ვაზია გავრცელებული, რომელსაც „ალექსანდროულს“ ეძახიან. ადგილობრივი მცხოვრებლები ფიქრობენ, რომ ეს ვაზი პირველად მეფე ალექსანდრემ შემოიტანა რაჭაში და ზვარი გააშენა და მერე აქედგან გავრცელდა ხვანჭკარაში და მის მახლობელს სოფლებში შემომტანელის სახელითაო. ფოთლის მოყვანილობითა და ლერწის ფერით იგი ძლიერ ჰგავს კახურს საფერავსა და მართლაც და „ალექსანდროული“ საფერავივით შავსა და სქელს ღვინოს აყენებს. არის სხვა ჯიშის ვაზებიც, მაგრამ მათი რიცხვი იქ მცირეა, რომ ანგარიშში არც-კი მიიღება. ვენახის მოვლა აქ თითქმის ისევე იციან, როგორც ყველგან სხვაგან საქართველოში. ღვინის კეთება ხვანჭკარში მეტის-მეტი მარტივია. მოიკრიბება თუ არა ყურძენი, მაშინვე საწნახელში ჩაჰყრიან, ერთს დღეს დაუჭყლეტავად სტოვებენ და მერე ჭაჭასთან ერთად სჭყლეტენ ანუ სწურავენ. დაჭყლეტას შემდეგ ტკბილს ათავსებენ წინადვე მომზადებულს ჭურჭელში, მისთვის რომ საწნახელში დარჩენილი ჭაჭა ისე დაჭყლიტონ, რომ შიგ მთელი მარცვალი არ დარჩეს; შემდეგ ამისა ტკბილს ისევ საწნახელში ასხავენ და იწყება დუღილი; ამ დროს დღეში ერთხელ ან ორჯელ ჰზელავენ და როცა თავდება დუღილი და ღვინოც ცოტა შეგრილდება, წინადვე გარეცხილს, მიწაში ღრმად ჩაფლულს, ჭურში ასხავენ, თავს კარგად უგლესენ და უცდიან იმ დროს, ვიდრე ღვინის ვაჭარი არ მოვა. ამ ნაირად მომზადებულს ღვინოს ჰყიდიან ადგილობრივ 4—5 მანეთად ფუთს; რა ფასი დაედება ამავე ღვინოს, რომ რიგიანად მომზადდეს?!

„ყიფიანის ღვინოს“ ხშირად შეამჩნევთ სიტკბოს. თუმცა თითონ მემამულეებს ღვინის ეს თვისება სასიქადულოდ მიაჩნიათ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არა ვთქვათ, რომ ეს თვისება, მეტადრე წითელის ღვინისა, უფრო ნაკლია, ვიდრე სიკეთე და აი რატომ: როცა ღვინოში სიტკბოა დარჩენილი, ეს იმას ჰნიშნავს, რომ ღვინო სრულებად არ დადუღებულა და შიგ შაქარია დარჩენილი. ამ ნაირი ღვინო, რასაკვირველია, ძნელად აიტანს მგზავრობას, მეტადრე სიცხეში. ამ შემთხვევაში ხელ-მეორედ დუღილი იწყება და ღვინო, რაც უნდა გაწმენდილი იყოს, აიმღვრევა და შეიძლება კიდევაც დაძმარდეს. ესეც რომ არ იყოს, წითელი ღვინო, როცა სიტკბო აქვს, კარგ ღვინოდ არ შეიძლება ჩაითვალოს.

რა არის მიზეზი ამ სიტკბოს დარჩენისა? რასაკვირველია დუღილის დაუმთავრება.—ღვინოს არ აცლიან, საწნახელში დუღილი შეისრულოს, რადგანაც ეშინიანთ, ჭაჭამ მწლარტე გე-

*) ქცევა 900 კვ. საჟ. უდრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც საკმაო ხალხს იზიდავს ზაფხულობით. ეს წყლებია დვალიშვილების სოფელში და „დვალიშვილების აბანოს" ეძახიან. მცოდნე კაცები, ვისაც-კი უნახავს ეს წყლები, ამბობენ, რომ აბასთუმნის წყლებსა ჰგავსო ბუნებითა და თვისებით. უხდება უფრო ქარით ავადმყოფებს. წყალი შიგ თბილია გოგირდის გემო აქვს, ფერი მოლურჯო დასცემს, ორ აუზად არის გაკეთებული და თითო აუზში ექვს კაცს შეუძლიან ბანაობა. მოწყობილება თითქმის არაფითარი არა აქვს. სამკურნალოდ მოსულთათვის არც ბინებია გამართული და არც სახლები. არის უხეირო იმერული ქოხები, მაგრამ ისიც ძლიერ ძვირად ფასობს. საჭმელ-სასმელი ხომ ძვირია და ძვირი. ამ თხუთმეტიოდე წლის წინად ეს აბანოები არავისი საკუთრება არ იყო, ბანაობდა შიგ ყველა უფასოდ და უბაჟოდ. შემდეგ-კი დაისაკუთრა ერთმა მემამულემ, რომელსაც დავა აუტეხეს სხვებმა. ეს დავა ჯერაც არ გათავებულა. მეორე აბანო სოფ. ინაშაურშია და „ჭოკინის აბანოს" ეძახიან. ეკუთვნის თთ. ერისთავებს. ეს აბანო ცივია, ფერი ამასაც ლურჯი აქვს და გემო გოგირდისა. ეს აბანო უფრო მოუწყობელია, ვიდრე პირველი. აქაც ისეთივე უბინაობა და სიძვირე სუფევს და ხალხიც ნაკლებად დაიარება. მესამე აბანო სოფელ ტყელოგორშია და „ჩახუნაშვილების აბანოს" ეძახიან. ეს აბანოც ცივია და, როგორც ამბობენ, ძლიერ უხდება თავის ტკივილსა და არჩენს კაცს შაკიკისაგან. დიდად სასურველია, რომ სამივე აბანო კარგად მოეწყოს და ავადმყოფთათვის ბინები დაიმართოს. ეჭვი არ არის, რომ მაშინ ხალხი უფრო ბლომად დაიწყებს სიარულს ამ წყლებზე და მათ პატრონებსაც ზევრად მეტი ხეირი ექნებათ.

⁂ ამ თვის 15, მადათოვის კუნძულზე, სოფ. შუბლის მცხოვრებელმა შიო გოგნიძემ ჯიბიდგან ფულის ქისა ამოაცალა სოფ. ბრაგალზალის მცხოვრებელს გაბრიელ სხირტლაძეს. ქისაში 25 მანეთი იყო. დამნაშავე შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

⁂ 15 ოქტომბერს, შუა ბაზარში, მებულკეს რობაკიძეს ფულის ყუთი გაუტეხა და ერთი მანეთი მოჰპარა იმისმავე მოჯამაგირემ სოფ. ონის მცხოვრებელმა 12 წლის კონსტანტინე სირაძემ. სირაძე შეიპყრეს.

## მალოროსიული წარმოდგენა

გუშინ წინ ბანკის თეატრში მალოროსიულმა დასმა წარმოადგინა ქ-ბ ნის სუსლოვის ბენეფისში სამ-მოქმედებიანი ოპერეტი „Черноморцы". ამ ოპერეტსაც, როგორც ამას წინად ნათამაშევს „Запорожецъ за Дунаемъ" ისტორიული შინაარსი აქვს. ილაჯგაწყვეტილი ჩერქეზების რბევა—თავსდასხმით მალოროსები (ყაზახობა) ეპირებიან ყუბანის მდინარისაკენ წასვლასა და იქ მტრის ჯავრის ამოყრას. მთელი ახალგაზდობა მომზადებული, შეიარაღებული კარზე სდგას, საომარს სიმღერებს ამბობს და მხოლოდ ერთს თავის ამხანაგის გამოსვლას ელის, რომ გზას გაუდგეს. ახალგაზდა ყაზახი-კი ივანე (ბ-ნი პრიბლუდა) ამ დროს თავის სატრფოს მარუსიას ეთხოვება. მისი სატრფო (ქ-ბ-ნი მარკოვიჩი) მეტად სწუხს საყვარლის მოშორების გამო და თავის დარდს სევდიანს სიმღერაში გამოსთქვამს. ეს კიდევ არაფერი. დედა მისს დრაბინისას (ქ-ბ-ნი ზატირგევიჩი) განუზრახავს თავისი ქალი მიათხოვოს ერთს მდიდარს, მაგრამ ხანში შესულს ყაზახს კაბიციას (ბ-ნი კროპივნიცკი). ეს გარემოება გულს უკლავს მარუსიასა და ეხვეწება საქმროს, თავს ნუ დამანებებ, თორემ დედა თავისას არ დაიშლის და მე მაშინ ან წყალში თავს დავირჩობ, ან როგორმე თავს მოვიკლავო. ახალგაზდა ივანე ანუგეშებს მარუსიას, ფიქრი ნუ გაქვს, ჩემი მამობილი დაგეხმარებაო, მე კი წაუსვლელობა არ შემიძლიან, ტოლ-ამხანაგნი რას იტყვიანო. ამას გარდა წესია, რომ ყმაწვილმა კაცმა რაინდული, ვაჟკაცური სახელი მოიხვეჭოს მტერთან ბრძოლაშიო და გაეშურება მეგობრებისკენ. თან თავის უმცროს ძმას ილკოს (ბ-ნი მილაზუნენკო) დააბარებს, რაც აქ მოხდეს, ყველაფერი ჩვენს მამობილს (ბ-ნი ნაუმენკო) უამბე, რომ დროზედ დახმარება გაუწიოს მარუსიასაო.

მეორე მოქმედებაში გამოჩნდება შეზარხოშებული კაბიცია და არშიყობას დაუწყებს მარუსიას. მარუსია ზიზღით შეჰხედავს და ხელს ჰკრავს. კაბიცია გაკვირვებულია, ათვალიერ-ჩაათვალიერებს თავის თავსა და წამოიძახებს, რით არა ვარ ვაჟკაცი, რაში მწუნობს მარუსიაო და გულის მოსაოხებლად გადაჰკრავს ორიოდე ჭიქა არაყს, რომელიც ბოთლით შალვრის ჯიბეში ჰქონდა. საქციელი მარუსიასი დედას, რასაკვირველია, არ მოსწონს და ვეფხვივით მივარდება, როგორ გაბედე საქმროს ასე უზდელად მიღებაო.

მეტი რა ჯანი იყო, მარუსია ბედს დამორჩილდა. ნიშნობაც კი დანიშნეს. მაგრამ მის იღბალზედ ამ საქმეში ჩაერევიან მეზობლები ცვირკუნიხა (ქ-ბნი სუსლოვისა), მამობილი ივანესი და სხვანი. ამას გარდა კობიციას ერთმა გარემოებამაც ძალზე მოუცარა ხელი. მისგან მოტყუებული კულიშა (ქ-ბნი ზარნიცკაია) მთელს სოფელს სწვავს კობიციას ვერაგობით, ასე რომ ყველა მეზობლები მის წინაადმდეგ მოქმედებენ. როგორც იყო მოურბილეს გული მარუსიას დედასა და დაათანხმეს მარუსიას მაგიერ შერთონ კობიციას კულიშა. ნიშნობა გაახალეს. სწორეთ ამ დროს ივანეც დაბრუნდება ლაშქრობიდამ და ერთის მაგიერ ორი ქორწილი იმართება. ამით თავდება ოპერეტი.

ეს პიესაც, როგორც საზოგადოდ მალოროსიული ოპერეტები შემკობილია სახალხო სიმღერებით, ცეკვათამაშობითა და ერის ზნე-ჩვეულებას მშვენიერად ჰხატავს. ჩვეულებრივ ხელოვნურად აასრულეს თავისი როლები: კროპივნიცკიმ, ზატირკევიჩმა, ზარნიცკაიამ, მარკოვიჩმა და თვით მობენეფისემ ქ-ბნმა სუსლოვისამ. ოპერეტის დასასრულ ნათქვამმა საერო საგალობელმა „დიდება ჩვენ მხედრობასაო" ალტაცებაში მოიყვანა მაყურებლები. მობენეფისეს მიართვეს თაიგული. უკანასკნელი წარმოდგენა დასისა იქმნება პარასკევს.

ა. ფრონელი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გურია, 10 ოქტომბერი. ქუთაისის ოლქის სასამართლომ ამ ხუთის წლის წინად ოზურგეთის მაზრის მცხოვრებს, აზ. კონსტანტინე ბოლქვაძეს ქურდობისათვის აზნაურობის ღირსება ჩამოართვა და ათის წლის ვადით ასტრახანის გუბერნიაში გადაასახლა. ამ ვადას შემდეგ იქ შეეძლო ცხოვრება, სადაც მოისურვებდა, გარდა ქუთაისის გუბერნიისა. ბრალდებულმა აპელაცია გადაიტანა ტფილისის სამოსამართლო პალატაში; რამდენიმე ასი მანეთი შეიტანა სთავდებო გირაოდ და დრომდის საპატიმროდამ გაანთავისუფლეს.

პალატამ ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა. მოითხოვეს დამნაშავე ბოლქვაძე, მაგრამ არ გამოცხადდა, გაიქცა და დაიმალა. პოლიციამ დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერ ჩაიგდო ხელში. გადავარდნილმა ხან გურიაშივე სცადა თავის დაფარვა, ხან იმერეთში, ხან სათაბრეთშიაც გავიდა, მაგრამ ვერსად ვერ ჰპოვა მყუდრო თავ-შესაფარი, არსად არ გაუცინა ბედმა: ყველასაგან ათვალ-წუნებული და დევნილი იყო; ყოველგან უგემური ცხოვრება ხვდა წილად. მალვით, ხეტიალ-წოწიალითა და ვაივაგლახით გაატარა ორი წელიწადი. მოსძულდა ასეთი უგემური ცხოვრება, მოვიდა გონსა და მოუვიდა აზრი, ამაზედ უარესს ყოფაში არც ჩემს სამყოფად დანიშნულ ადგილზე ვიქნებიო. რაც შეეხება ჩემს თავის დროზე გამოუცხადებლობას, ქვეყანაზე სიფიცხე თუა, მოწყალებაც არის, შეიძლება ეს მაპატიონო. დავემორჩილები ბედის წერასაო. დეე, აღსრულდეს ჩემზედ სასამართლო მსაჯულების განაჩენი. მოდი, ჩემის ნებით წავალ, სადაც ჯერ არს და ჩავბარდებიო. ასეც მოიქცა: მოიდრიკა ქედი კანონის წინაშე, გამოცხადდა მთავრობასთან და თან მიიყოლია რამდენიმე კაცი.

„შეჰკადრეს: ღმერთი ვინადგან
შეუნდობს შეცოდებულსა,
თქვენც უყავით წყალობა
მას ღონე-გაცუდებულსა".

რა-კი მთავრობამ დაინახა ასეთი სინანული და მოქცევა, სათავდებოდ შეტანილი ფული უკანვე დაუბრუნა, მხედველობაში მიიღო, რომ დამნაშავეს გავარდნილობაში არა ვითარი ბოროტ-მოქმედება არ ჩაუდენია, არაფერი სისხლი არ მოუმატეს, ის აკმარეს, რაც სასამართლოსა განეჰქონდა გადაწყვეტილი და ასტრახანში გაჰგზავნეს დამნაშავე, რომელსაც წასვლის დროს ეთქმებოდა: „სტიროდეთ ჩემთვის ძმანო და მოყვასნო, რამეთუ ამიერიდგან თქვენთანა არღარა ვიდოდე" მართლაც ნათესავ-მეგობრები საუკუნოდ გამოეთხოვენ და გამოიტირეს; იმის ჩვენში დაბრუნებას აღარავინ მოელოდა. მას შემდეგ განმაელობს ორი წელიწადი და რამდენიმე თთვე.

ერთის კვირის წინად აღნიშნული ჩვენის გუბერნიიდგან სამუდამოდ გაძევებული და მოუპრუნებლად გადასახლებული, თითქოს მიწიდგან ამოვიდაო, მოვიდა თავის სახლში სოფელ მიქელგაბრიელში (გურია). რასაკვირველია, ყველას ეტოყა და ეუცხოვა. მოსრული მიდი-მოდიოდა სადარბაზოდ ახლო-მახლოდ მეზობლებში და მოკეთეებში. სახალხოდ აღიარა და გამოტყდა, რომ აქ წამოსვლის ნებართვაზე წერილობითი საბუთი არა მაქვს, მაგრამ რამდენსამე ხანს დავრჩებიო. ერთი იქაური მდიდარი და გავლენიანი კაცი მწყალობსო, განაგრძო მოსულმა, იმან დამაიმედა, ისე მოვახერხებ საქმეს, რომ კარგა ხანს შენს უნებურად წამოსვლაზე მოწერილობა ტელეგრამას არ გამოევგზავნინებო; იმისი-კი რა გითხრა, თუ იქ დაგიჭერენო. სოფლის მოხელეებმა როგორღაც არ დაინახეს საჭიროდ უპასპორტოდ გადმოხვეწილის დაჭერა, მაზრის მმართველსკი აცნობეს, რომელმაც დაუყონებლივ უბრძანა ადგილობრივს მამასახლისს შეპყრობა და ფიცხელის ყარაულით წარდგენა. 7 ამ თთვისას მამასახლისი რამდენისამე კაცით მივიდა შესაპყრობლად, სადაც ეგულებოდა, მაგრამ ბოლქვაძე გაუსხლტა ხელიდგან და დაიმალა. იმავე დღეს ამ საქმეზედ მოვიდა პოლიციის ბოქაული, შეიქნა ერთი უშველებელი ფაცა-ფუცი და ძებნა, მაგრამ ვერას გახდნენ. მამასახლისმა ის აჩვენა, რომ ოთხმა კაცმა, რომელნიც გაქცეულთან დამიხვდნენ, წაექომაგნენ იმასაო, მე ხელი შემიშალეს, გამაგდებინეს და ამიტომ ბრძანება ვერ მოვიყვანე აღსრულებაშიო. ამაზე ოქმი შეადგინეს, ის ოთხი კაცი დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

გაქცეული როგორ გადასჭრის, რას აწევს მისი გუნება, საიდგანაც მოვიდა იქით იზამს პირს, წარემართება და დაემკვიდრება თავის ადგილზედ, თუ ჩვენში მოითავისახლებს და ქურდობა-ავაზაკობას მიჰყოფს ხელს, ამას შემდეგი გვიჩვენებს. თუმცა დიდად საეჭვოა, ავაზაკობა, ფირალობა სწყუროდეს და ვგონებთ ამისათვის არც ძალ-ღონე უნდა შესწევდეს. მოგეხსენებათ ანდაზა „ფაფაზე შეშინებული დოს უბერავდაო". ავ-კაცებისაგან მრავალ-ტანჯული და შევიწროებული გურია, სადაც-კი მიაღწია ამ ამბავმა, ამაზე ლაპარაკობს, ამბობენ უსათუოდ ყაჩაღი დარჩია

---

მო არ მისცესო, და ამიტომ ასხავენ გრილს ჭურებში, სადაც ნელი დუღილი ჭურის სიგრილის გამო ისპობა და მაშასადამე სიტკბოც რჩება ღვინოს.

ამ უხერხულობის მოსპობა ჩვენის აზრით შემდეგის საშუალებით შეიძლება: ღვინოს უნდა დასცალდეს, დუღილი საწნახელშივე; ხოლო რომ ზევრმა ჭაჭამ მწლარტე გემო არ მისცეს, საჭიროა ყურძენი, თუ სულ არა, ნახევარი მაინც დაიმარცვლოს. დამარცვლა ზევრს ძნელ საქმედ მიაჩნია, თუმცა ამაზე ადვილი არა არისრა. საჭიროა მხოლოდ განიერს ფიცარს ოთხივე კუთხიდგან დაბალი კედლები გაუკეთდეს, მერე დაიბურღოს ისე, რომ ნაბურღში ყურძნის მარცვალი გაეტიოს; შემდეგ ამისა ფიცარი საწნახელზე ისე უნდა მოეწყოს, რომ ნაბურღში გაცვივნული მარცვალი საწნახელში ჩაიყაროს. თითონ დამარცვლა-კი ასე უნდა მოხდეს: როცა ფიცარზე დაჰყრიან ყურძენს, მუშამ უნდა ურიოს იგი და ამ რევაში მწიფე მარცვალი წყდება კლერტსა და სცვივა საწნახელში და მკუხე მარცვალი, რომელიც ძნელად შორდება კლერტს, და თითონ კლერტი ფიცარზე რჩება.

ამ ნაირად დამარცვლილით ორი საქმე კეთდება—ჯერ მემამულეს ეძლევა საშუალება ღვინოს დუღილი დაათავებინოს საწნახელშივე და მერე ღვინოს აღარ შერჩება მწლარტე გემო.

მესამე უხერხულობა რაჭულის მეღვინეობისა ის არის, რომ რაკი ღვინო ერთხელვე ჩაისხმის ჭურში, იქიდგან ამოღებას ველარ ეღირსება, ვიდრე მის გაყიდვას არ დააპირებენ—ე. ი. ღვინოს არ გადაიღებენ ხოლმე, თუმცა ეს ზევრს სიკეთეს შეჰმატებდა „ყიფიანის ღვინოს". ცნობილია, რომ რაც უფრო ხშირად გადაიღება ღვინო, მით უფრო კარგად იწმინდება და ამას გარდა მწლარტე გემო აკლდება. სულ უკანასკნელი წითელი ღვინო ორჯელ უნდა იქმნას გადაღებული—პირველად გიორგობისთვეში და მეორედ—თებერვალში და თუ ზაფხულშიაც იქნება გადაღებული, ეს კიდევ უკეთესი.

ჩვენ მივაქციეთ ყურადღება რაჭულის მეღვინეობის უმთავრეს ნაკლულევანებას; არის ზევრი სხვაც, მაგრამ მათი გარჩევა შორს წაგვიყვანდა და ამიტომ ვათავებთ მეღვინეობაზე ლაპარაკს.

—

ამ უკანასკნელს ხანებში რაჭის ვენახებსაც ეწვია ვაზის სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, მილდიუ, ნაცარი, ანტრაკნოზი, ფიტოპთური, ქლოროზი ანუ სიყვითლე და ზევრი სხვა და მეტად აზარალებენ ვენახებს!

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების განკარგულებით წრეულს მოხდა ვენახების სამაგალითო წამლობა რაჭირსა და ლეჩხუმის მაზრებსა და დაბა ხონში. განსხვავება ნაწამლსა და უწამლ ვენახების შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ისე თვალ-საჩინოა, რომ ვისაც-კი მიეცა შემთხვევა, ენახა ეს განსხვავება, გადასწყვიტა მომავალში უთუოდ უწამლოს თავის ვენახსაც.

ღვთის მადლით, ფილოქსერა ჯერ არსადა სჩანს რაჭაში. ჩვენ მოგვიხდა გასინჯვა რამდენისამე ვენახისა, რომელშიაც ვაზები საეჭვოდ ხმებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ხმობა ფილოქსერის მიზეზით არ აღმოჩნდა.

სამაგიეროდ ზემო რაჭაში გავრცელებულია ისეთი სენი ვენახისა, რომელსაც სხვაგან იშვიათად შეხვდებით—ეს სენია ზემოხსენებული ქლოროზი ანუ ვაზის სიყვითლე. სიყვითლის მიზეზი ორ-გვარია—ერთი შემთხვევითი და მეორე—მუდმივი. ხშირად, ახალ გაზაფხულზე კვირტის გამოსვლას შემდეგ ყინვის გამო ვაზს ფოთოლი უყვითლდება; ამის მიზეზი ის არის, რომ სიცივე ვაზს საზრდოებას აკლებს; კარგის ამინდის დადგომა და ვაზის გამობრუნება ერთია; ასეთი სიყვითლე, როგორც ვხედავთ საშიში არ არის; სულ სხვაა, როცა სიყვითლე გამუდმებულის მიზეზით არის გამოწვეული. ამ შემთხვევაში ვაზს გახმობა მოელის. უმეტეს ნაწილად მუდმივის სიყვითლის მიზეზი მიწის სიმწირეა, მეტადრე მაშინ, როცა ნიადაგში კირი მეტია. მწირი მიწა საკმაოდ ვერ ასაზრდოებს ვაზსა და ამის გამო ჯერ ფოთოლი უყვითლდება და მერე თითონაც ხმება.

ზემო რაჭაში ეს უკანასკნელი მიზეზია ვენახების სიყვითლისა. აქ საზოგადოდ ვენახები გაშენებულია მეტად დაქანებულს ფერდობებზე; წვიმა რეცხს ფერდობის მიწის ნოყიერს ნაწილსა და დარჩენილი უნაყოფო მიწა ვერ ასაზრდოებს ვაზსა და სიყვითლე უჩნდება.

ერთად-ერთი საშუალება სიყვითლის წინააღმდეგ—ვენახის გაპატივება.

ვ. ყ—ნი

მოჰხიბლავს და გადიბირებს იმის გულსა. ენახოთ რა გამოვა რისაგან.

თეოფანე კალანდარიშვილი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამას წინად გარდაიცვალა გამოჩენილი საფრანგეთის მწერალი ა. კარრი, რომელმაც არა ერთი ფურცელი უძღვნა თავის თხზულებაში ქალებს. ეს მწერალი საზოგადოდაც ხომ გონება-მახვილია და უფრო დიდს სიმახვილეს იჩენს ქალების შესახებ წერის დროს. კარრს განსაკუთრებით კარგადა აქვს შესწავლული ესრედ წოდებული კეთილშობილი ქალი, თუნდა დიდის ჩამომავლობისაც არ იყოს, მაინც იმდენად შეძლებული, რომელიც თავისს სიცოცხლეს კლუბებში ატარებს და მთელს სიცოცხლეს თავის გართობას ანდომებს. ასეთი კეთილშობილი ქალი, იმის აზრით, ხელოვნებითი ნამოქმედარია, ნაშობი საუკუნოებით დანაბად გარემოებათა და ისე გაირჩევა სხვა ქალებისაგან, როგორც შუშაბანდის ვარდი სხვა მცენარისაგან განსხვავდება. მოგვყავს გაზ. „Од. Лис.“-დგან ზოგიერთი თქმულებანი კარრისა:

ქალებს შორის დიდი განსხვავება არ არის, სილამაზეს გარდა. მათ შორის ისე აშკარა უთანასწორობასა და განსხვავებას ვერ შენიშნავს ადამიანი, როგორც კაცებს შორის. კაცებს ჭკუა, ნიჭი, უნარი მხნეობისა განასხვავებს ერთმანეთისაგან, ქალები-კი ერთმანეთს გარეგანის მიმზიდველობით თუ არ ემსგავსებიან, თორემ სხვაფრივ ერთნი არიან, ერთ გვარნი, ერთ ნაირნი. გოგოებმაც კარგად იციან, რომ ჩვენსა და ქალბატონებს შორის მხოლოდ გარეგანი განსხვავება და არა-მსგავსება არსებობსო. კიდეც ამიტომ ძნელად შეჰხვდებით ისეთს დედაკაცს, რომ ლამაზს მოსამსახურე გოგოს არ უფრთხოდეს. სახელმწიფო კაცი, არტისტი, მეცნიერი არასოდეს არა ჰგავს თავისს მოსამსახურეს, ხოლო, პირ-იქით, უბრალო მკერვალი ჰერცოგის მეუღლედ ადვილად გადინაცვლდება. და ამისი მაგალითიც ხომ არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა.

ძალიან დიდხანსა სცხოვრებენ ერთად კაცები და დედაკაცები, მაგრამ აქამდე ერთმანეთს კარგად არ იცნობენ. კაცებმა რომ იცოდნენ, რასაც ჰფიქრობენ ხოლმე თავის გონებაში ქალები, ერთი ორად უფრო ურცხვნი და მოურიდებელნი იქნებოდნენ, და აგრეთვე დედაკაცებმა დაახლოვებით რომ იცნობდნენ კაცებს, უფრო კეკლუცნი გახდებოდნენ და უფრო მეტს პრანჭვასა და გრეხვას მოჰყვებოდნენ. საკვირველად არა გვგვანან-რა ერთმანეთისა. მაგალითებრ, უკვე ხუთი ათასი წელიწადია მას შემდეგ, რაც ქალებმა დაარწმუნეს კაცები, რომ სუსტნი არსებანი ვართო, მაგრამ ამასობაში თუ ჰკლავს, და ჰქანცავს, ჰკლავს რამე დედაკაცს — ისევ მოწყენილობა, გაურთობლობა და უსაქმოდ ყოფნა. ვგონებ, არც ერთი დედაკაცი არ მომკვდარა სხვაფრივ, თუ არ აქ დასახელებულ მიზეზების გამო. მოხუცებული დედაკაცები თუ იხოცებიან, იხოცებიან დაღალვა-მოქანცვისა და სისუსტის გამო-კი არა, არამედ იმიტომ-რომ ყურადღებას აღარავინ აქცევს.

საზოგადოდ ამაოდ-მორწმუნებაა ქალად წოდებული სისუსტე დედაკაცისა. ისეთს მედროგესაც-კი ვერ სად იპოვნით, რომელსაც შეიძლოს და ქალს სიარულში დიდხანს მიჰყვეს ფეხდაფეხ, თუ ის ქალი ლამაზია, მორთულია და თაყვანის-მცემელი და არშიყი ბევრი ჰყავს. ბალებში მამაკაცი უფრო ჰგავს სუსტს არსებას, იმიტომ-რომ ყოველთვის მორცხვად იქცევა და დედაკაცზედ გაცილებით უფრო ჩქარა იღლება და იქანცება. სიყვარულში მამაკაცი მით უფრო სუსტია, რაც უფრო ღონიერია და ბრგე ფიზიკურად.

დედაკაცების ახირებულ ლოგიკის შესახებ ბევრი დაწესილა და კიდევ ბევრი დაიწერება. კარრი იმ აზრისაა, რომ ქალები ყველაფერს ადვილად მიჰხვდებიან ხოლმეო; იმათ მხოლოდ მაშინ მოსდით შეცდომა, როცა ჭკუას ძალას ატანენ. მართალია, ხშირად დედაკაცები ალღოთი უფრო მიჰხვდებიან ხოლმე ჭეშმარიტებას, ვიდრე კაცები—დალაგებულის მსჯელობით. დედაკაცთან ბაასის დროს თავი მოუყარეთ თვით უძლიერეს დამამტკიცებელს საბუთებს; შემდეგ, როცა ყველა საბუთს მოიხმართ, იმ საბუთებს, რომლითაც დარწმუნება შეგეძლებოდათ, მთელის მეცნიერ ღვთისმეტყველ კრებისა, კვლავ ეძიეთ საბუთი, ერთი ათად, ერთი ასად მეტი საბუთი მოჰხვნელეთ, მაგრამ მაინც, როცა მოგისმენთ დედაკაცი, გულარხეინად გკითხავთ:

— მერე რაო, მაგით რა გინდათ დაგმტკიცებინათო?

ბაასის დროს ქალებს ჩვეულებად აქვთ იმისი თქმა, რომ „მე ასე მგონიაო“, იმიტომ-რომ ამის პასუხი ძნელად მოსაძებნია და ამაზედ ძლიერი საბუთი არ მოეძებნება.

„ასეაო“ — უდიდესი მტარვალია დედაკაცისა: „ასე ხჩადიან“, „ასე იცვამენო“. ამ სიტყვებს წინააღმდეგობას ვერც ერთი დედაკაცი ვერ გაუბედავს.

დედაკაცებს ერთად-ერთი სარწმუნოება აქვთ—ეს სარწმუნოება იმათი გუნებაა, კაცია და გუნებაო, რომ იტყვიან, სწორედ ის. რაც იმათ მოსწონთ, ის წმინდა და ხელ-შეუხებელი უნდა იყოს, იმითვის თავსაც არ დაიზოგავენ ხოლმე.

ორს რასმე არასოდეს არ შეუნდობენ ხოლმე ქალები კაცებს—ძილს და საქმეს. არის აგრეთვე იმისთანა სისულელე, რომელსაც, დედაკაცი არასოდეს აპატიებს ხოლმე კაცს. ეს ის სისულელეა, რომელიც მამაკაცს სხვა დედაკაცის გულისათვის ჩაუდენია.

## რუსეთი

გზათა სამინისტრომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამ ბოლოს დროს ძლიერ გახშირდა ძარცვა რკინის გზით მოგზაურებისა. ამის გამო სამინისტრომ პროექტი შეადგინა იმისი, რომ დაარსდეს რკინის გზით მოგზაურების ხაბაკისა და ფულის შემნახველი დასი. ამ პროექტის აზრით ყოველს მოგზაურს შეუძლიან, თავისი ბარგი და ფული ჰიაბაროს „შემნახველის დასსა“ და გზაში ნაწილ-ნაწილად გამოართვას, რაც რამ დასჭირდება, ნივთი იქნება თუ ფული.

— გზათა სამინისტრომ მიუწერა ყოველს თავის ქვემდებარე დაწესებულებას, თვალყური ადევნეთ და თუ რკინის გზის გაყვანის დროს, როდესაც მიწასა სთხრიან, რაიმე შესანიშნავი ისტორიის უწინარეს დროის ნაშთი ნივთი რამ აღმოჩნდა, პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტსა და ან კიდევ სამთო ისტიტუტს გაუგზავნეთ ხოლმე იმისი მიხედვით, თუ რომელი ნაპოვნი ნივთი ამ ორის სასწავლებლიდგან რომელს უფრო შეეფერებაო.

— რამდენსამე ქველმოქმედს კაცს ჰსურს, დააარსოს პეტერბურგში თავშესაფარი იმ ყმაწვილთათვის, რომლებსაც თავისი მშობლები სიღარიბისა და შეუძლებლობისა გამო ვერ უვლიან და იძულებულნი არიან, ღვთის ანაბარად დასტოვონ ხოლმე.

— პეტერბურგის ერობათა მომავალს კრებაზე განხილული იქნება ის საგანი, რომ ცალკე ზედამხედველები დანიშნონ უსაჭიროეს სანოვაგეთა ვაჭრობის თვალყურის სადევნებლად იმ ადგილებში, სადაც მცხოვრებლები ბლომად არიან.

— სამხედრო სამკურნალო აკადემიაში ხელ-ახლად უნდა დააარსონ საფარმაცევტო კურსები, რომლებზედაც ებრაელების ტომის ახალგაზდებს შესვლა აეკრძალული ექნებათ.

— ამ ბოლოს დროს ფინლიანდიელებმა ძლიერ მოუხშირეს ამერიკაში გადასახლებას. ამ დღეებში მხოლოდ ქალაქ ვაზიდგან ერთის გემით 110 ფინლიანდიელი გაემგზავრა ამერიკაში დასასახლებლად.

— შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტრებმა შეიმუშავეს იმის კანონები, თუ როგორი უნდა გადაიხადონ ხოლმე ვალი გლეხებმა და იმათმა საზოგადოებამ.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა დებულება კერძო გამსესხებელ კასებისა. ამ დებულების აზრით არავის ნება არა აქვს გამართოს გამსესხებელი კასა იმ ადგილებში, სადაც ან ქარხანაა და ან სხვა რამ ისეთი დაწესებულება, რომელშიაც ბლომად არის მუშა ხალხი. თუ ვინმე ჩუმად გამართავს ფულის გამსესხებელს კასას, ჯარიმა გადაჰხდება და დაგირავებული ნივთებიც ისევ პატრონს დაუბრუნდება. ამ დებულებაში აღნიშნულია, თუ რა სარგებელი უნდა გამოერთვას ფულის მსესხებელსა და ამასთანავე ისიც მოხსენებულია, რომ გამსესხებელ კასის გამართვა მხოლოდ მართლმადიდებელს ქრისტიანს შეუძლიანო.

— ფინასთა სამინისტროს ჰსურს, როგორმე დაეხმაროს იმ მოვაჭრეებს რომლებიც სხვა-და-სხვა საქონელს ეზიდებიან რუსეთიდგან საზღვარ გარედ. ამისგამო სამინისტრო აპირობს, ცალკე კანონი შეიმუშაოს ამ გვარ ვაჭრობისათვის და ვაჭრებს თავიდგან ააცილოს მრავალგვარი მისვლა-მოსვლა, მოწმობის მიღება და სააქციზო ფულის ხაზინიდგან უკან მიღება, რომელიც მათ ამ ჟამად ძლიერ უცრის ხელს.

— ახალი კანონი ქარხნებში მომუშავე ხალხისა ერთის წლის ვადას აძლევს ყოველს დაშავებულს მუშას, რომ საჩივარი შეიტანოს ქარხნის პატრონზე და თავისი ზარალი მოსთხოვოს. ამ კანონის ძალითვე ქარხნის პატრონი ვალდებულია, მუშას დახმარება აღმოუჩინოს იმ შემთხვევაშიც, როცა ქარხანაში მუშაობის გამო რაიმე ავადმყოფობა დაემართება.

— ამ დღეებში პეტერბურგში ამბავი მოვიდა ფლორენციიდგან, რომ აქ გარდაიცვალა გამოჩენილი მოგზაური რუსი პეტრე ალექსანდრეს ძე ჩიხაჩევიო. განსვენებულმა სახელი გაითქვა შუა აზიაში მოგზაურობითა და პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის საპატიო წევრად ითვლებოდა. ამავე დროს იგი იყო წევრი ბერლინისა, მიუნხენისა და პარიჟის მეცნიერებათა აკადემიისა. ჩიხაჩევი გარდაიცვალა ფილტვების ანთებიდგან პირველს ამ თთვისას.

## უცხოეთი

გერმანია. კრება სოციალისტებისა ჰალლეში უკვე დაიშალა. კრებამ გადასწყვიტა უფრო თავის დასის მოწყობას მიაქციოს უმთავრესი თვისი ყურადღება. არჩეულ იქმნა ექვსი კაცი, რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ დასის ყველა საქმეებს. ლიბკნეხტი დაინიშნა უმთავრეს რედაქტორად სოციალისტების უმთავრესის გაზეთისა.

— იმპერატორმა ვილჰელმმა დიდი საყვედური გამოუცხადა რკინის გზების მმართველობას იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა არავითარი ღონისძიება არ მიიღო გაეიაფებინა რკინის გზის ბილეთები ბერლინის მუშათათვის ქალაქ გარეშე ადგილებამდე, სადაც სახლები ბევრად იაფად არის, ვიდრე თვით ბერლინში.

— სოციალისტები ორ დასად იყოფებიან გერმანიაში. ერთნი ზომიერნი არიან, რომელთაც მეთაურობს: ლიბკნეხტი, ბებელი, ზინგერი და მეორენი უმწვერვალესის მიმართულებისანი. ამათი მეთაურია ვერნერი, რომელმაც მარტოდ მარტომ მისცა შავი კენჭი ჰალეს კრებაზე პროექტს სოციალისტების დასის საქმეების მოწყობისას. ვერნერის მომხრეებმა მოახდინეს დიდი კრება ბერლინში და წინააღმდეგობა გამოუცხადეს ზომიერს სოციალისტებს. წარმოთქმულ იქმნა რამდენიმე სიტყვა წინააღმდეგ ზომიერ სოციალისტებისა და ვერნერს გაუგზავნეს მილოცვის დეპეშები.

— ბისმარკი ეხლა თავის ვარცინის მამულშია და ძალიან მხიარულად თურმე ატარებს დროებას. თითქმის ყოველ-დღე სტუმრები ჰყავს და იმათთან შეექცევა სადილ-ვახშამს. გაუმართავს დიდი ყველისა და ერბოს საკეთებელი ქარხანა და, რაც რძეა თურმე ოჯახში, სულ ყველადა და ერბოდ კეთდება. ქარხანაში სდგას ორთქლის მაშინა და ქარხანას ის მაშინა ამუშავებს. ექვსი ფერმა აქვს ვარცინში და ექვსივე აქამდე იჯარით იყო ხოლმე გაცემული და ახლა-კი ექვსივეს თითონ ბისმარკი განაგებსო.

იტალია. რომის გაზეთები ამბობენ, რომ კრისპის საზაფხულო სასახლეში ნეაპოლს ახლოს უკვე მზადებაა გერმანიის კანცლერის კაპრივის მისაღებადაო.

— ამ მოკლე ხანში კვლავ დაიწყება მოლაპარაკება იტალიისა და ინგლისს შორის იმის თაობაზე, რომ გამიჯნულ იქმნას ამ ორში, რომელს რა ეკუთვნოდეს და რაზე მიუწვდებოდეს ხელი ჩრდილო-აღმოსავლეთს აფრიკაში, როცა ჯერ ეს ამბავი არ იყო გადაწყვეტილი, „Daily News“-ი სწერდა სალისბერის შესახებ, ეტყობა მისი კაბინეტი კიდევ ეთიოპიის დაპყრობას ფიქრობსო, რომ იტალიასთან მოლაპარაკება მშვიდობით ვერ გაათავეა. «ასეთი პოლიტიკა მეტად უგუნური პოლიტიკაა, ისეთი პოლიტიკა, რომლის ბუნება და თვისება ძნელია კაცმა აღნიშნოსო. ესკი უნდა იცოდეს სალისბერიმ, რომ ეცდება თუ არა თავის პოლიტიკის განხორციელებას, მაშინვე უნდა იმედი დაჰკარგოს, რომ მისმა სამინისტრომ კიდევ თავი დაიჭიროსო.

საფრანგეთი. 8 ოქტომბერს დაიწყო შემოდგომის სესია საფრანგეთის პარლამენტისა. ფიქრობენ, რომ ამ სესიაში საიმისო უსიამოვნება არა არის-რა მოსალოდნელიო. თუ რამ მზადდებოდა ისეთი, რაც ყაყალმაყალს ასტეხდა, არ იქმნა შეწყნარებული და დეპუტაცია პალატამდე ველარ მიაღწევს. შინაგან საქმეთა მინისტრმა კონსტანმა არ ივაბულა თხოვნა ბულანჟეს მომხრე დეპუტატებისა, სამართალში მიეციათ ისინი, ვისაც ჰბრალდება ბულანჟეობის საქმეში რაიმე ავკაცობაო. კონსტანმა სთქვა, რომ სამართალში იმათი მიცემა საჭირო არ არის და თუ გაბედა ვინმე რამე წინააღმდეგ კანონებისა, მოვახერხებთ, როგორ მოვექცეთ იმასაო. სენატორების არჩევანების შეცვლის პროექტიც აღარ იქნება განხილული. დარჩა მხოლოდ სამერმისო ბიუჯეტი. ამ საქმეში მარტო ფინანსთა მინისტრს უნდა ეშინოდეს. პალატამ ამოშალა ბიუჯეტში ზოგიერთი სამძიმო გადასახადი, იმის მაგიერ სხვა არ შემოიღო და ამის გამო ხარჯი ბევრია მოსალოდნელი, ხოლო შემოსავალი ნაკლები. ფრეისინეს ორი პროექტი პალატამ აღტაცებით მიიღო: ერთი შეეხება შემწეობის მიცემას იმ ჯარის-კაცთა ოჯახთათვის, რომელიც ვინიცობაა ლაშქრობა დაიძახეს, უნდა მოშორდნენ თავიანთ სახლ-კარსა და გაეიდნენ საომრად, ხოლო მეორე ამბობს, უნდა უფრო სასტიკი კანონი შემოვიღოთ ჯაშუშების დასასჯელადაო.

## წვრილი ამბები

კორრესპონდენტი ფრანგულ გაზეთის „Gil Blas“-ისა სწერს თავის ლაპარაკის შესახებ ბებელთან. ლაპარაკი ჰქონიადათ გალლეში და სხვათა შორის შეჰხვდნენ „ბურჟუას“. იცით რა არის „ბურჟუაო“? უთქვამს ბებელს; ეხლანდელი ბურჟუა ის არის, რაც წინად ღარიბი, ღატაკი ხალხი იყო. ამის მაგალითად დაგისახელებთ ჩემს მეგობარს ლიბკნეხტს. ლიბკნეხტმა ორსა თუ სამს უნივერსიტეტში დაამთავრა სწავლა, ეხლა იმას შეძლება აქვს, მხოლოდ უწინ-კი ის ღარიბი თანამშრომელი იყო გაზეთ « Nord. Allgemeine Zeitung »-ისა. მაშ რაა ლიბკნეხტი თუ არა ბურჟუაო? ბურჟუა იყვნენ აგრეთვე კარლ მარქსიცა და ლასსალიც. რა გგონიათ. განა არავინა სთვლის ლასსალსა და მარქსს ბურჟუად? მეც თითქმის ბურჟუა ვარ. მე კარგად ვიცნობ ბურჟუაზიას, და თუმცა ეხლა-კი მუშა ვარ, მაგრამ უფრო უკეთესად შემიძლიან სჯა ბურჟუაზე, ვიდრე ახალგაზდობის დროს. ერთის სიტყვით კაცი ვერ გადურჩება,

რომ ან სოციალისტად არ ჩასთვალონ და ან ბურჟუად. მაგრამ განა ჩვენ რას ვითხოვთ? ვითხოვთ მხოლოდ იმას, რომ სამართლიანად იყოს განაწილებული სახელმწიფო ხარჯი და ძალმომრეობა არ არსებობდეს. როდესაც 1883 წ. რუსეთის ნიჰილისტებმა მოგვმართეს და დახმარება გვთხოვეს, ჩვენ პირდაპირი უარი ვუთხარით და ლაპარაკსაც არ გამოვეკიდეთ. ჩვენ რუსეთს ყურადღებაც არ მივაქციეთ, მაგრამ ყაზახ̈ბი-კი გვძულს, როგორც თვით ბისმარკი, რადგანაც, თუმცა სოციალისტები ვართ, მაგრამ იმავე დროს გერმანელებადაცა ვსთვლით ჩვენს თავს. არასოდეს ჩვენ ჯარისა და ჯარის რიგისა და წესის წინააღმდეგნი არა ვყოფილვართ, მაგრამ ყოველთვის ზიზღითა და ბრაზით ვუყურებდით აფიცრების სასტიკს მოპყრობას ჯარის კაცებთან ეხლა-კი სხვა დროა. ეხლა თვით იმპერატორმა მოუღო ბოლო ამ ნაირს ბოროტს საქციელს.

— ცნობილი მინისტრი ვენგრიისა სალომან ტისსა, რომელიც პოლიტიკის ასპარეზზე უკვე აღარა მოქმედებს, ამ ჟამად თავის მამულში სცხოვრებს და მეურნეობას მისდევს. იმისი მტრები დასცხრნენ, შურს აღარ ემიებენ და თანაუგრძნობენ იმის მყუდრო ცხოვრებას. ის გაზეთები, რომელნიც წინად ნიადაგ ტისსაც მრახვაში იყვნენ, ეხლა სიამოვნებით იუწყებიან იმის სოფლად ცხოვრებასა და მუყდრო მუშაობას ვენახ-ბაღებში. სხვათა შორის ერთს ვენგრიულს გაზეთში შემდეგი ამბავია მოყვანილი ტისსას შესახებ. ბაღში ერთი გამხმარი ხე უდგას თურმე და არავის ნებას არ აძლევს, მოსჭრას, რადგან ეს ხე მოსაგონად აქვს თავის მეგობრის ცეიგასა. როცა ტისსა ახალგაზდა იყო, ცეიგი ესტუმრა და ამ სტუმრობის დროს შელაპარაკდნენ იმის შესახებ, შეიძლება თუ რა კაცი ვეღა დაბრკოლებას მოერიოსო. ცეიგი ამბობდა შეიძლებაო, ხოლო ტისსა უარზე იდგა. მაშ თუ ეგრეაო, უთხრა ტისსამ, აბა ცხენზე შეჯექ და ამ ხის გაბარდნულს ტოტებს გაატანეო. ცეიგი შეჯდა ცხენზე, გააქანა, მაგრამ ტოტებმა მაგრა დაიჭირა და ცხენიდგან გადმოაგდო. ცეიგი მაინც არ დაცხრა, მოიწმინდა დაკაწრული პირის სახე და ხელ-მეორედ სცადა. მაშინ-კი გაიმარჯვა. აი ეხლა სწორედ ის ხეა ეს გამხმარი ხე და ტისსაც არავის არ აჭრევინებს; ეს ხე იმის მოწმეა, რომ კაცს ბევრი რამ შეუძლიან, თუ მოინდომა და თავი გამოიდოვო.

◆◆

# დეპეშა

16 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** გუშინდელი ბიულეტენი დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის უფროსის მდგომარეობის შესახებ: ისეთმა ნიშნებმა ავადმყოფობისამ, რომელიც საშიში იყო, გაუარა; ავადმყოფობამ კვლავ თვისი ჩვეულებრივი ნელი მიმდინარეობა დაიწყო.

**სარატოვი.** გერმანელების ახალშენმა „Ягодная Поляна“ მ, სახსოვრად სასწაულებრივის გადარჩენისა 17 ოქტომბერს 1888 წელს, ააშენა ქვითკირის შენობა რუსულის სკოლისათვის.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ოქტომ.

| | მყიდველისა. მან. კ. | | გამყიდველისა. მან. კ. | | გაყიდულისა. მან. კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 6 | 60 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 132 | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — | „ | 1 | 12 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | „ | — | „ | 232½ | |
| —მეორისა . . . | — | „ | — | „ | 214½ | |
| —მესამისა . . . | — | „ | — | „ | 214¼ | |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზიდვის გემები.

# განცხადებანი

თმის გასამაგრებელი

**ბალზამი ეიკალიპტი**

კოსმეტიკა ა. ენგლუნდისა

ეს თმის გასამაგრებელი საშუალება სპობს თავის ქერტლს და თავის კანს სინაზეს აძლევს.

თითო შუშა ღირს 1 მან. 50 კაპ., გაგზავნით 2 მან. ორი შუშა გაგზავნით—3 მან. 50 კაპ.

სიყალბის ასაცილებლად მყიდველებსა ვთხოვთ ყოველს შუშაზედ გასინჯოს, რომ ეტიკეტს წითლის მელნით ჰქონდეს ხელ-მოწერილი ა. ენგლუნდი და ზედ მარკა ეკრას სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება ს.-პეტერბურგს, სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინის ქუჩაზედ, 38. (5—4)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. (40—21)

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის საადგილმამულო სამეურნეო... 

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის საფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქიმოდ:

# ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე გ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქიმოდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, გე უნდა გამოგზავნოს. (50—45)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

# „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

# დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

კერძო ექიმი

# პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაგის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—4)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო-ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია აღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. цен. Тифлисъ, 16-го Октября 1890 г. Типо-Литографія Б. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე